

საქართველო




საერთო ელემენტი ორჯერატი 14 ნოემბერი 2005 №262 (2585)

ფასი 50 თეთრი

VOX POPULI ესაუბრო!

საქართველოს
არჩევნების
სამსახური



XX საუკუნის ყველაზე დიდი ტყუილი და სისულელა XXI საუკუნეში

ნიხიბა ხრუშჩოვი:

ჩვენ სწორი გზით მივდივართ,
მომავალი თაობები უომუნიზმში
იცხოვრებენ.

გაიოზ ღარსაძე:

ჩვენ სწორი გზით მივდივართ,
მომავალი თაობები დიდ
ფეხბურთს ითამაშებენ.

რა იმეო დარსაძის
გუნდი სოფიაში?

აპროსტიჟული დასკვნა:

**ყვანაჯანს
დავსკიოვა
აპასუსა**



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უაღლესი ლიგა

პირველი ნაბიჯი 13 თებერვალი



ალექსანდრე კოშკაძე (№25) ერთ-ერთი გამორჩეული იყო



სულიკო დავითაშვილს (მარჯვნივ) საჭმე კვლავ მისალოცად ჰქონდა

თელავი STORY

მარჯვნიდან განსახილავი შეხვედრა

თელავი. 13 თებერვალი. 14 საათი. შიში ჩონჩხი. 3 000 (ტეფადა 8 000)

კახეთი 1:2 ახალი

10 კუბრაშვილი (10), 11, 12 დავითაშვილი (40, 45)

კახეთი: გიგა იაშვილი, ტარულაშვილი, გ. ნადირაშვილი, ბედიძე, კვეციანი, კობახიძე (იმერლიშვილი 77), კუბრაშვილი, სოსელია, ბ. ბურნაძე (სიხარულიძე 70), დ. ბურდული, არუდაშვილი (ტყეშელაშვილი 87) სათადარიგო: მამუნაშვილი; ლოლაძე, ამირანიძე, ბიძინაშვილი

ახალი: ლ. ნადირაშვილი, ბერიანიძე, დავითიძე, ზვადგანი, ელბაძე, დობროვოლსკი, დეკანოზიძე (დარსანი 84), ა. კვიციანი (გ. ჩხეტიანი 78), კოშკაძე, სეფსტოპოლო (ტატიანიშვილი 72), ს. დავითაშვილი სათადარიგო: ნაჭყვიაძე, გარუჩავა, ნიკოლიშვილი, ბუღალავა

მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩინრაძე

მწვრთნელი: ბედიძე (40), კუბრაშვილი (67), არუდაშვილი (86), იმერლიშვილი (87)

მწვრთნელი: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯგერაძე (თბილისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ვადაჭვორია (თბილისი)

ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

პაპუნა კედიბა თელავიდან

განსვლი კომუნისტების დროინდელი ამინდის ბიუროს პროგნოზი? აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ზოგან წვიმა, ტემპერატურა ბარში ამდენი და ამდენი და ასე შემდეგ. გუმინ ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი, იმდენად, რომ ყურში მაშინდელი დიქტორების ხმა კი გაცოცხლდა — თელავში „კახეთისა“ და „ამერისა“ თამაშამდე ჯერ მოიდრუბლა, შემდეგ, შემოდგომამ რომ იცის, ისე იწვიმა, ხოლო როდესაც ფეხბურთელები მატჩის წინ მოედანზე გასახურებლად გავიდნენ, მზემ გამოანათა და მთელი შეხვედრის განმავლობაში აღარ მიუტოვებია „გივი ჩოხელაშვილზე“ შეკრებილი არცთუ მცირერიცხოვანი მაყურებელი. და რაკი თელაველი მაყურებელი ვახსენეთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ მათ შორის ბრძანდებოდნენ ახალგაზრდა ქალბატონებიც, რაც, სხვა

სუთი ფეხბურთელი გამოუდიოდით და ეს სტუმართა მარწმუნებში მოქცევის ფეხბურთელები იძლეოდა. ამასთან, ნათლად ჩანდა ისიც, რომ თელაველთა სამი მცველი თბილისელი ფორვარდების მეთვალყურეობაში მოედნის მარცხენა მხარისკენ იწვედნენ და ის ზონა, სადაც ოთხმკველიანი სისტემის დროს მარჯვენა მცველი უნდა იდგეს, ცარიელი რჩებოდა. ეს ის ტერიტორია გახლდათ, სადაც (ასეთ პირობებში, რატომ ვერ ახლევდნენ ხსენებულ ზონას თელაველი ნახევარმცველები, ვერ გეტყვით) ადრე თუ გვიან ამერიული ალექო კოშკაძე უნდა შევარდნილიყო და ეს შევარდნები რატომღაც მხოლოდ 30-ე წუთიდან დაიწყო კიდევ. მოკლედ, იმას მოგახსენებთ, რომ კოშკაძემ 30-ე და 40-ე წუთამდე ორჯერ უჩვეული „კახეთის“ კარს, თუმცა ამ ორ მომენტს შორის კახელებმაც გაათამაშეს ბურდულ-არუდაშვილ-სოსელიას სწრაფი კომბინაცია, რომელიც სოსელიას უზუსტო თავურით დასრულდა. და დადგა მე-40 წუთი, როდესაც სტუმრებმა გოლი გაიტანეს: მარცხენა ფლანგიდან გიორგი დეკანოზიძის პასით სულიკო დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ შევიდა. მეკარე გიგა იაშვილი დროულად გამოვარდა კარიდან და ბურთს ფეხი გაუქნია მოედნის ცენტრისკენ გადასაგდებად, მაგრამ აქვრა და დავითაშვილმა საჩუქარი მიიღო — 1:1.

ამ ეპიზოდზე ცოტა მეტხანს გვსურს შეჩერება და აი, რატომ: თელაველმა ქომაგებმა ჩათვალეს, რომ დავითაშვილი დეკანოზიძის პასის მომენტში ოფსაიდეში იყო და გოლი უსამართლოდ მიიჩნია. რა შეგვიძლია ამაზე ვთქვათ? თანამედროვე ფეხბურთში აურაცხელი გოლი გადის ოფსაიდის მარად სათუო ხაზიდან და თითოეული მათგანის გამშვები თვლის, რომ თანამსაჯს ალამი უნდა აეწია, გამტანი კი ალმის არაწევას მიიჩნევს სამართლიანად. სხვათა შორის, ამ სიტყვების ავტორმა მომენტი ვიდეოჩანაწერშიც ნახა და მაინც ვერაფერი გაარკვია, რადგან კამერა დავითაშვილს უკვე პასის მიღების მომენტში იჭერს.

შემდეგ ასე იყო: რამდენიმე წუთში დეკანოზიძემ ბურთი დავითაშვილს მიწოდა, დავითაშვილი საჯარიმოში მარცხნიდან შევარდა და კარის ხაზის გასწვრივ დავით სეფსტოპოლოს გაუგდო, მაგრამ თბილისელ ფორვარდს მეკარე იაშვილმა აჯობა და ძალიან მწვავე მომენტი ჩაუშალა.

შესვენებამდე, მსაჯის პირველ წამატებულ წუთზე კი „კახეთს“ ისევ მარჯვენა ფრთიდან დაატყდა უსიამოვნება თავს — კოშკაძემ დავითაშვილს გადაუგდო ბურთი და საგოლე პოზიციაზე შეიყვანა. „ამერიულმა“ თავი არ შეირცხვინა — 1:2.

მეორე ტაიმში ტემპმა კიდევ უფრო იმატა. „კახეთი“ მეტად გააქტიურდა და 50-ე წუთზე მონადირეული ჯარიმიდან დავით ბურდულმა ჩინებული ჩახვეული დარტყმით ძელს გაარტყა ბურთი. შემდეგ დაახლოებით 7-10 წუთი ბურთი და რიტმი ისევ „ამერმა“ გააქტიურებდა, რასაც ინციტატივის კვლავ ჩამორთმევა და ისევ სტუმრებთან დაბრუნება მოჰყვა. 76-ეზე დავითაშვილის პასით ალექსანდრე


პრესკონფერენცია

გიორგი ჩინრაძე: ვიცოდით, რომ „კახეთი“ შინ განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს. გუნდს თელავში ექვსი მატჩიდან ოთხი ჰქონდა მოგებული და მხოლოდ ლიდერებთან, „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ წაეგო. ჩემი ფეხბურთელები გავაფრთხილე, პირველ თხუთმეტ წუთში გოლი არავითარ შემთხვევაში არ გაეშვით და კონტრშეტევაზე ჩასაფრებულნიყვენ. სამწუხაროდ, მასპინძლებმა მაინც გავკიტანეს თამაშის დასაწყისში, თუმცა, საბედნიეროდ, ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და გავიმარჯვეთ.

ჯემალ მახარაშვილი: მსაჯებთან პრეტენზია არ მაქვს. ოფსაიდის ახალმა წესებმა ხომ საჭმე მიღად გართულა. მსაჯის იმედდაც არასოდეს ვარ და არც წაგებას ვაბრალებ ოდესმე. „ამერთან“ ინდივიდუალურად ვერაფერს გავხდებოდი, ტაქტიკურად უნდა გვეჯობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხბურთელებმა შეცდომები დაუშვეს. ვუიქნობ, სანახავად სასიამოვნო თამაში გამოვიდა.

იკონა გზად და პეკინი ელის

ალექსანდრო იკონა, ბარის მფლობელი შუა ტურინში, ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადებაში ბარში ნამდვილი ოლიმპიური ნაყინი გაიყიდება. ამასობაში კი, პეკინის ზაფხულის ოლიმპიადის გახსნამდე 1000 დღე დარჩა. ჰოდა, ქალაქშიც დიდი სამრეწველო შოუ მოეწყო, სადაც ოლიმპიადის ხუთი თილისმიდან ორი სცენაზე დააბიჯებდა.



AFF პეკინიდან




ეროვნული ინჟინერი

AFF ტურინიდან

ეჭ...

ეჭ! არ არის თარდაუნი. ტეხასელ კორტნი ლუისს სულ გოჯი დააკლდა. სწორედ რომ იმ ბოლო გოჯზე მოცელა ოკლაჰომელმა დიჯეი ვულფმა. ჰოდა, ოკლაჰომამაც სწორედ ამის გამო მოიგო 36:30.



AFF ნორმანდიდან

სარბიელი
საორტული გაზაფხითი
გააოცივება 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გააოცივების ორგანიზაცია,
სამშაობათს, ორგანიზაციას,
საშრომობას და საზოგადოებას

გამომცემელი ზურაბ ზოიგაძე
დირექტორი ვიქტორი ოქროშვილი
მთავარი რედაქტორი ილიკ ბაგრატიანი
რედაქტორი თამაზ მიხრიალაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი ანა ანდრონიკიანი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა შაველაძე
ქართული ენის რედაქტორი: ჯეო თაყაიშვილი
კობა ინასარიძე, ილიკ ნანობაშვილი, კარა შალვაშვილი
უცხოური ენის რედაქტორი: გიორგი აბულაძე

ვიორგი დარჯიანი, ვიორგი ვაშაძე, ვიორგი კაკაბაძე,
სოლომონ კობახიძე, ლალი ხორბლიანი, ვაჟა ზუციშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟა ახალაძე, თორ მალაქიძე,
ირაკლი პეტრიაძე
ფოტორეპორტი: არტემ გუგუშვილი, ლევან კვიციანი
სტილისტი: ს. კლა, ვიორგი ბიბიაძე, ლალი გოთარდიაშვილი
კომპიუტერული: ვენერა ლა. ბუციანი, სათუნა ბუციანი
თამაზ გოგუშვილი, ფატი ლედიშვილი, მადონა გრამატიანი, რუსუდანი
ერისთავი, ზვიად მანუშვილი, თამარ ქინქვაძე, ზურაბ წიკნაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზაძის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 77, საპროსტო
საუბრო 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული მისამართი
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვებ-გვერდი
<http://www.sarbieri.com.ge>